თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2019 წლის 6 ნოემბერი

ქ. თერჯოლა

,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 03 აპრილის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 03 აპრილის №7 დადგენილებაში (ვებგვერდი, 08.04.2019, ს.კ 010250020.35.126.016298):

1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„„საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-14, 22-ე, 27-ე, 31-ე, 66-ე, 67-ე და 68-ე ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართელოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის, და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის დამტკიცების თაობაზე" საქართელოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 02 აგვისტოს №669 ბრძანების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:"

2. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს, უფლებამოსილების სფეროს მიხედვით, ადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 49-ე, 51-ე, 51^2, 51^3, 52-ე, 55-ე, 55^2, 55^3, 63-ე, 64-ე, 65-ე, 65^1, 66-ე, 67-ე, 68-ე, 71-ე, 73-76-ე, 86-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე;

ბ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 825-ე, 107^4, 119^1, 127^1 მუხლის მე- 5 ნაწილით, 145-ე, 146^1, 148-ე, 150-ე, 151-ე, 152-ე , 153^4, 179^2 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

გ) სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 196^1, 196^3, 196^6, 197-ე, 197^1 და 198-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლადარღვევევევბზე.

დ) თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური -

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172^6 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე.

ე) ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრი - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43^1 და 43^2 მუხლით გათვალისწინებულ სამართლადარღვევებზე.

3. დადგენილების 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის წარმოების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები უფლებამოსილნი არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინონ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის მე-14, 22-ე, 24-ე, 27-ე, 31-ე, 66-ე, 67-ე, 68-ე ნაწილებით გათვალისწინებულ შესაბამის სამართალდარღვევებზე.“.

4. დადგენილების 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა – დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით დანართის მიხედვით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ნინო ჯანელიძე**

დანართი №2

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

სერია ქქ 000001 №

1. ---------- 2. ----------

ოქმის შედგენის თარიღი : რიცხვი, თვე, წელი . /ოქმის შედგენის ადგილი /

---------- 3. ----------

ოქმის შემდგენელის თანამდებობა

/სახელი ,მამის სახელი , გვარი /

4. დავადგინე , რომ ----------

/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი , დრო და არსი /

/ნორმატიული აქტი , რომელიც იქნა დარღვეული /

5. პასუხისმგებლობა აღნიშნული დარღვევისათვის განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციული

სამართალდარღვევათა კოდექსის ---------- მუხლით / მუხლის ---------- ნაწილით.

6. მონაცემების დამრღვევის შესახებ ----------

/ფიზიკური პირი – სახელი, გვარი, მისამართი, პირადი № და სხვა მოანაცემები .

იურიდიული პირი – სახელწოდება, იურიდიული მისამართი , საიდენტიფიკაციო კოდი ,

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და მისი პირადი მონაცემები /

---

7. დამრღვევის ახსა -განმარტება : ----------

დამრღვევს განემარტა მისი უფლებები და მოვალეობები, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით.

8. მოწმე ან /და დაზარალებული ----------

/ხელმოწერა/ /სახელი, გვარი, მისამართი /

9. ოქმის შემდგენელი პირი ----------

/ხელმოწერა / /სახელი , გვარი /

10. სამართალდამრღვევი პირი ----------

/ხელმოწერა / /სახელი , გვარი /

11. ჩავიბარე ოქმი ----------

/სამართალდამრღვევის ხელმოწერა /

12. საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები :----------

13. შენიშვნა :----------

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებები, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდ გომლობები, საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით: ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურეობით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება).

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებისა და სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის) სასამართლოში გასაჩვრების უფლების შესახებ.

დამკვეთი: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია

დამამზადებელი :

სფს -ს რეგისტრაციის № 00- 0000.